



თვითმმართველი თემი

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 10

„29“ თებერვალი 2016 წელი

თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების უსასყიდლო სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 122-ე მუხლის მე-4 ნაწილის და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული წესების 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,

1. მიეცეს თანხმობა თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგებელს, რათა მან უსასყიდლო სარგებლობის უფლებით, უპირობოდ, თხოვნის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით 2 წლის ვადით ალექსი ღარიბაშვილს (პირადი №36701057867) გადასცეს თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ გულგულაში მდებარე 920 კვ.მ სასოფლო - სამეურნეო (საკარმიდამო) დანიშნულების მიწის ნაკვეთი მასზე განთავსებული 270.3 კვ.მ შენობა - ნაგებობით (ს/კოდი №53.09.39.002, საერთო ღირებულებით 25 300 ლარი) და ჯიმი მოლაშვილს (პირადი №20001069037) გადასცეს სოფელ რუისპირში მდებარე 1490 კვ.მ სასოფლო - სამეურნეო (საკარმიდამო) დანიშნულების მიწის ნაკვეთი მასზე განთავსებული 170,3 კვ.მ და 24 კვ.მ შენობა - ნაგებობებით (ს/კოდი №53.11.33.022, საერთო ღირებულებით 23 600 ლარი);

2. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე;

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში (მის. ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი №41).

საკრებულოს თავმჯდომარე



*Handwritten signature in blue ink.*

პაატა გიორგობიანი